ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

სამშაბათი ოქტომბრის 24
1922 წ.

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

სამშაბათს 24 ოქტომბერს

ვარამი

3 მოქ. შალვა დადიანისა.

დადგმა კ. ანდრონიკაშვილის — დასაწყისი სრულ 8 საათზე.

1—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

სამშაბათს, 24 ოქტომბერს

აიდა

ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს

რიგოლეტო

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ. კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

1—1

ქალაქის აღმასკომი

ამით აცნობებს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მუშაობის გეგმაში აზრად აქვთ 1923 წლის

საზაფხულო სეზონში ბავშვების გადაყვანა სააგარაკოთ კოჯორში,

რომ ჩაწერვა ბავშვთა ქალაქის აგარაკებზე კოჯორში უკვე გაიხსნა.

უპირატესობა მიეცემათ იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომელთაც მიზნად აქვთ აგარაკების მოხმარება მარტო ბავშვებისათვის.

აგარაკების მიღების პირობებზე მსურველთ შეუძლიათ ცნობები მიიღონ ამხ. გ. ზ. რუხაძესთან აღმასკომის განათლების გამგესთან (ოთახი № 57), ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა, შუადღის 1—3 საათამდე.

აგარაკებზე ჩაწერვის უკანასკნელ ვადათ ჩაითვლება 15 ნოემბერი—22 წ.

3—1 — ქალაქის აღმასკომი.

ლოიდ-ჯორჯის გადადგომის გამო

ამ ჟამად საერთაშორისო მდგომარეობა მეტად გამწვავებულია და ყველა კრიზისებს აქვს ადგილი მსოფლიოს მნიშვნელოვან ცენტრებში. ახლო აღმოსავლეთის შეტაკებები და იქ შექმნილი კრიზისი საერთაშორისო ხასიათისა არის და მის გარშემო ინასკვება მსოფლიო პოლიტიკის კვანძები. კრიზისია ევროპის კონტინენტზედაც: გერმანიის ამბები და იქ მომქმედ სოციალურ ძალთა დაპირისპირება, ეს ოთხ თვეზე მეტია ვერ ჩადგა თავის ნორმალურს კალაპოტში და ჰქმნის გამწვავებულ მდგომარეობას. იტალიაშიც მთავრობის კრიზისმა იჩინა თავი და ფაშისტების თავხედური მოძრაობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

მაგრამ ევროპის კონტინენტის ეს ამბები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ის, რამაც გამოიწვია ლოიდ-ჯორჯის გადადგომა და ინგლისის პოლიტიკური კურსის შეცვლა. ლოიდ-ჯორჯის გადადგომას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო პოლიტიკისათვის. ამ ჟამად საერთაშორისო დამოკიდებულების ძარღვები იმდენად დაჭიმულია და გამწვავებულია, რომ ინგლისის პოლიტიკის შეცვლას შეუძლია საკმაოდ მოზრდილი ცვლილება შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობაში. ლოიდ-ჯორჯის კაბინეთი დაეცა განსაკუთრებით მისი საგარეო პოლიტიკის წყალობით. ცხადია, კონსერვატიული პარტია, რომელმაც ხელთ აიღო ლოიდ-ჯორჯის მემკვიდრეობა, შეეცდება სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი გაატაროს საერთაშორისო პოლიტიკურს ურთიერთობაში. ლოიდ-ჯორჯი რომელიც ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიების კოალიციას ეყრდნობოდა ინგლისში, დირიჟორის როლში გამოდიოდა მთელ ევროპისა და აზიის მიმართ. დღეს ეს დირიჟორის ჯოხი ბონარ ლოუმ ჩამოართვა მას და ინგლისის მეთაური კონსერვატიული პარტია შეიქმნა.

ევროპის კონტინენტზედ ამ ბოლო ხანებში არც ერთს პრემიერს არ ღირსებია ამდენი ხნის ბატონობა, როგორც ლოიდ-ჯორჯს. თითქმის ერთს წელზედ მეტი იგი განაგებდა ინგლისის საქმეებსა და ამით შინაარსსა და ტონს აძლევდა მთელს საერთაშორისო პოლიტიკას.

ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის დასახასიათებლად საჭიროა გათვალისწინებული იქმნეს ის საერთო მდგომარეობა, რომელშიაც მოქცეული იყო ინგლისი საერთაშორისო ომის შედეგებისაგან მსოფლიოში მომხდარ ცვლილებების გამო. ლოიდ ჯორჯს ისეთს ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა და ინგლისის პოლიტიკის მართვა, რომელიც შეიძლება მთელი ინგლისის პოლიტიკისა და მდგომარეობის დაქვეითებით დახასიათდეს.

ინგლისი მთელი მსოფლიოს ჰეგემონი და მმართველი იყო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. მისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა მსოფლიო მაშტაბით ხასიათდებოდა. კაპიტალისტური მსოფლიოს ცენტრი და მისი შინაარსის მიმცემი იყო ინგლისი, რომელსაც კოლონიალური სამფლობელოები მსოფლიოს ყოველ კუთხეში მოეპოვებოდა. მაგრამ ინგლისის მსოფლიო ბატონობას ენერგიული მეტოქე გამოუჩნდა გერმანიის იმპერიის სახით. გერმანიის კაპიტალმა და პოლიტიკამ მეტად შეიწია წინ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში და განადგურებით ემუქრებოდა ინგლისს ყოველის მიმართულებით. ინგლისის მთავარი მიზანი იყო დაძლევა ამ მეტოქისა და თავისი ბატონობის შენარჩუნება. საერთაშორისო ომი უმთავრესად გამოწვეული იყო ინგლისს გერმანიის პოლიტიკის ბრძოლის და ამ კოალიციების გარშემო შემოკრბენ სხვა საერთაშორისო ძალები.

ინგლისმა შესძლო თავისი მეტოქის განადგურება ევროპის კონტინენტზე; გერმანიის კოალიცია დამარცხდა სამხედროდ და მას გამარჯვებულმა ანტანტამ ვერსალში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ინგლისმა თავის უმთავრეს მიზანს მიაღწია თითქოს და მსოფლიოს ბატონობაში მას მეტოქე აღარ ჰყავდა. ფაქტიურად კი ინგლისი ახალი საფრთხის წინაშე დადგა: დამარცხებულ გერმანიის ადგილი სულ სხვა ძალამ დაიჭირა და ინგლისის ბატონობას სულ სხვა მხრიდან გაუჩნდა მეტოქე.

საერთაშორისო ომმა დიდი ცვლილებები მოახდინა ურთიერთობის საქმეში. მსოფლიოს ძველი წონასწორობა დაირღვა და ახალი გადაჯგუფების პროცესში დიდმა ინტერესთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი თვით მოკავშირეთა შორის. ომის შედეგებით საერთაშორისო მაშტაბში ყველაზე მეტად ისარგებლა ამერიკამ. ფაქტიურად ამერიკა გამოვიდა ომიდან გამარჯვებული: მისი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა გაფართოვდა, გაძლიერდა და დღეს ერთ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოდ ითვლება მსოფლიოში. ამერიკა მსოფლიო ჰეგემონიისაკენ მიილტვის. მაგრამ მის ბატონობას წინ ეღობება ინგლისი, რომელსაც არ სურს ხელი აიღოს თავის უფლებებზედ. ამ გვარად თუ ომამდე და ომის პროცესში ინგლისის პოლიტიკის მთავარი მტერი და მეტოქე იყო გერმანიეთი, ომის დათავების შემდეგ ამ მისიის შესრულება იკისრა ყოველ მხრით ძლიერმა ამერიკამ. დღეს საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრს წარმოადგენს ინგლის-ამერიკის ურთიერთობის საკითხი. ყოველ დიდ მოვლენაში მათი ინტერესთა დაპირისპირება მოჩანს. ფორმალურად ამერიკამ თითქოს ხელი აიღო ევროპის საქმეებიდან, ფაქტიურად კი არც ერთი საკითხი არ გადაწყვეტილა, სადაც მან თავისი გავლენა არ გამოუჩინოს.

ინგლის-ამერიკის შეჯიბრება არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც ამოძრავებს თანამედროვე პოლიტიკას. ლოიდ-ჯორჯის მთელი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ თავი გადაერჩინა ამ ახალი მეტოქისაგან და ჩვეულებრივად გამარჯვებული გამოეყვანა ინგლისი. მაგრამ მისი პოლიტიკას ხელს უშლიდა ევროპაში შექმნილი პირობებიც და უმთავრესად კი საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკა. თუ ერთი მხრით ინგლისს ბრძოლის წარმოება უხდებოდა ამერიკის წინააღმდეგ მსოფლიო ჰეგემონიის შესანარჩუნებლად, მეორეს მხრით ის იძულებული იყო სასტიკი წინააღმდეგობანი გაეწია საფრანგეთისთვისაც, რომელიც ცდილობდა გერმანიის სრული მემკვიდრე გამხდარიყო ევროპის კონტინენტზე და გამოეცალა ინგლისისათვის პირველობა. საფრანგეთი ამერიკის კოზირის როლს ასრულებდა ინგლისის წინააღმდეგ და ძლიერ ხშირად პოვებდა დახმარებას მისგან. გარდა ამისა ინგლისის მდგომარეობას ართულებდა კოლონიებში დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელიც ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ დიდათ კვებავდა რუსეთის რევოლუციის იდეები.

ამ ასეთ რთულსა და მძიმე პირობებში მოუხდა ლოიდ ჯორჯს თავისი პრემიერობის გაწევა. მთელ რიგ საკითხებში მან ვერ შესძლო შეთანხმებული ხაზი გამოეძებნა საფრანგეთთან; ძლიერ ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც ანტანტა დაშლის წინ იდგა და შესაძლებელი ხდებოდა ახალი კომბინაციების შექმნა ევროპის კონტინენტზე. მაგრამ იზოლაციის შიში აჩერებდა ლოიდ ჯორჯს და დიპლომატიური საშუალებით ცდილობდა გამოსავალი გზები მოენახა.

რუსეთის საკითხი, გერმანია და ახლო აღმოსავლეთი იყო ის მთავარი საკითხები, რომლის გარშემოც ჩნდებოდა ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება. ამერიკული კონკურენციით შევიწროებული ინგლისის მთელი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ნორმალური პირობები აღდგინა ევროპაში და მისი ეკონომიური მოღონიერებისათვის ეზრუნა. ეს კი შეუძლებელი იყო საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის დახმარების გარეშე. ამაში დარწმუნდა ლოიდ ჯორჯი დიდი ხნის მერყეობის შემდეგ. მაგრამ გერმანიასთან და რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას წინ ეღობებოდა საფრანგეთის პოლიტიკა. სარეპარაციო გადასახადი ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს საფრანგეთის წარმატებისათვის და საფრანგეთის მეურნეობა მასზე ამყარებს მთელ თავის იმედებს. მაგრამ გერმანიის აღდგენა და ეკონომიური გამოცოცხლება ყოვლად შეუძლებელი ხდება სარეპარაციო მძიმე ტვირთის ქვეშ. მეორეს მხრით ლოიდ ჯორჯმა მთელი რიგი ნაბიჯებისა გადადგა რუსეთთან მოსალაპარაკებლად. გენუასა და ჰააგაში მთელი თვეები გრძელდებოდა დავა ამ კითხვის გარშემო, მაგრამ საფრანგეთმა ამერიკის დახმარებით თავისი გაიტანა და ლოიდ ჯორჯი დამარცხებული წავიდა ორივე კონფერენციიდან. მან ვერ გაბედა ვერც სეპარატიული ზავის შეკვრა და ვერც საერთო ენა მონახა საფრანგეთ-რუსეთთან ზავის შესაკვრელად.

არა ნაკლები დამარცხება განიცადა ლოიდ-ჯორჯმა აღმოსავლეთის საკითხში. მან ვერ შესძლო სევრის ხელშეკრულების რეალურად განაღდება ანატოლიის ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგობის გამო. მეორეს მხრით საფრანგეთის ინტრიგებმა ახლო აღმოსავლეთში უწყვეტელს ხარისხს მიაღწია. ერთს დროს ახლო აღმოსავლეთის საკითხში დამარცხების გამო კლემანსო იძულებული შეიქმნა თავისი პოსტი დაეტოვება. დღეს მდგომარეობა იმდენად გამოსწორდა საფრანგეთისათვის, რომ თვით ლოიდ ჯორჯმა წააწყდა ფეხი იმ ქვაზედ, რომელმაც დასცა კლემანსო.

მიუხედავად იმისა, რომ ანტანტის კავშირი არსებულია ფორმალურად, ინგლისი იძულებული იყო დამოუკიდებელი გზით ევლო და ამ პოლიტიკის გატარების დროს საფრანგეთი ძლიერ ხშირად განიცდიდა დამარცხებას, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის საკითხში. დღეს მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკურს ურთიერთობაში შეიცვალა და პუანკარემ შესძლო თავის სასარგებლოდ პირობების გამოსწორება.

ინგლისის ტრაგედია ის არის, რომ მან ვერ მონახა რეალური მეგობარი და მოკავშირე. გერმანია-რუსეთთან ვერ გააბა კავშირი, საფრანგეთის პოლიტიკას ვერ შეუთანხმდა, აღმოსავლეთი ფაქტიურად საომარ მდგომარეობაში იყო ინგლისთან; ამ რთულსა და მძიმე პირობებში ამერიკა უდიდეს ძალღონეებს ახდენდა მასზედ და სარგებლობდა მისი გართულებული მდგომარეობით. ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკა მეგობრის ძიებისაკენ იყო მიმართული და ფაქტიურად ინგლისის იზოლაციაში იყო მოქცეული.

ლოიდ-ჯორჯის ასეთს პოლიტიკას ებრძოდა ნაწილი კონსერვატიული პარტიისა და რომელიც მოითხოვდა საფრანგეთთან შეთანხმებასა და რეალურ კავშირს. დღეს ამ პარტიამ გაიმარჯვა ინგლისში. ლოიდ-ჯორჯის საგარეო პოლიტიკაში დამარცხებამ და საფრანგეთის შანსების აწევამ გამოიწვია კონსერვატიული პარტიის გაძლიერებით ძველი კაბინეთის ლიკვიდაცია. ბონარ ლოუს გამარჯვებას დღესასწაულობს საფრანგეთის პრესა და ბურჟუაზია. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთ-ინგლისის შორის ურთიერთობა გაუმჯობესდება და ინგლისის ახალი კაბინეთი გადასინჯავს ლოიდ-ჯორჯის საგარეო პოლიტიკას მთელს რიგ საკითხებში. ცხადია, ეს გადასინჯვა და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება მოხდება გერმანიისა და კოლონიურ ქვეყნების ხარჯზედ. მართალია ინგლისი დასთმობს, მაგრამ დასთმობს არა დაჩაგრულთა, არამედ საფრანგეთის სასარგებლოდ.

მიდია.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ურუგვაის კომპარტია. კომუნისტური მოძრაობა გზას იკვლევს სამხრეთ ამერიკაშიც. ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში სოციალისტურმა პარტიამ ხმების ცხრა მეათედის უმრავლესობით მიიღო 21 პირობა კომინტერნისა. ამის შემდეგ პარტია პირველად შეიკრიბა ყრილობაზე ა. წ. ივლისის ბოლოს. პარტიამ შეასრულა მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო. რეფორმისტების გამორიცხვას პარტიიდან თან ახლდა სერიოზული კრიზისი, რომელიც ამ ჟამად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. პარტიის რეორგანიზაცია სავსებით დასრულებულია. მასში ითვლება ათასი წევრი 10 ორგანიზაციაში მონტევიდეოში და 8 პროვინციალური ორგანიზაცია.

დიდი ენერგია დასდო ყოველ დღიური გაზეთ „ჯუსტიციამ" რეფორმისტებისაგან დასაცავად. 1921 წლის აპრილში ცენტრალური ორგანო იყო მეტად მძიმე მდგომარეობაში ახალი სტამბის ყიდვის გამო, რომელმაც ვალები გამოიწვია. ორგანოს გადარჩენის მიზნით შემოღებული იყო გაძლიერებული გადასახადი. მიმართვას იქმნა წევრებისადმი დახმარებისათვის. ამ ჟამად „ჯუსტიციის" ვალები მინიმუმამდეა დაყვანილი, ინვენტარი განახლებულია და გაუმჯობესებული. „ჯუსტიციის" გარდა არსებობს აგრეთვე ორი ჟურნალი, რომლებიც გამოდიან ერთხელ ორ კვირაში და ერთი თვიური მიმოხილვა „კლარიდადი".

პარტიის არა ჩვეულებრივმა ყრილობამ დაამტკიცა წესდება; კამათი ხან და ხან მეტად გაცხოველებული იყო. განსაკუთრებით ცხოველი დისკუსია გამოიწვია წინადადებამ „არ ყოფილიყო დაშვებული დაქირავებული შრომით მოსარგებლენი". ეს წინადადება უარყოფილ იქნა. სწარმოების ბრძოლა სინდიკალიზმის წინააღმდეგ და მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. კომპარტია იმყოფება არგენტინის და ბრაზილიის კომპარტიებთან დამოკიდებულებაში. პარტია დიდად მუშაობს კომუნიზმის გავრცელებისათვის სამხრეთ ამერიკაში.

ლოიდ ჯორჯის საუბარი მუშათა პარტიის ლიდერებთან. დაახასიათა რა ინგლისის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, ლოიდ ჯორჯმა განუცხადა თავის თანამოსაუბრეებს, რომ სრუტეების თავისუფლების საკითხში მას არ შეუძლია არავითარ დათმობაზე წასვლა და რომ მანამ, სანამ სამშვიდობო კონფერენციაზე არ იქნება მიღწეული შეთანხმება, ის არ დაუშვებს ნეიტრალური ზონის ოკუპაციას ოსმალების მიერ. ბრიტანეთის მთავრობამ, განაცხადა პრემიერმა, ისწრაფვის ხელი შეუშალოს ომის დაწყებას ევროპაში. ჩვენ მშვიდობიანობის მომხრე ვართ და ვფიქრობთ, რომ მივიღოთ შესაძლებელი მეთოდი მის უზრუნველსაყოფათ".

პუანკარეს განცხადება სრუტეების საკითხზე. გამოვიდა რა ვაკლუზში დაღუპულ მეომართა ძეგლის გახსნაზე, პუანკარე შეეხო მდგომარეობას აღმოსავლეთში და განაცხადა: „საფრანგეთი ერთხელ კიდევ ამტკიცებს თავის სამშვიდობო ზრახვეთა გულწრფელობას. ის არ იტყვის უარს, მიუხედავად ამისა, თავის მსხვილი საკუთნოების ინტერესებზე აღმოსავლეთში და სურს გამოიყენოს თავისი მანდატი ლივანზე და რიზზე. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, საფრანგეთი სთვლის სრუტეების თავისუფლების აუცილებლობას მთელი კაცობრიობისთვის და მზათ არის შეთანხმოს თავისი ინტერესები სხვა მოკავშირეთა ინტერესებთან".

დემოკრატიული პარტიის ყრილობა. 9 ოქტომბერს, ელბერფელდში გაიხსნა ყრილობა გერმანიის დემოკრატიულ პარტიისა. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ ბურჟუაზიულ პარტიათა ბლოკი გაიერთიანებს რესპუბლიკანურად მოაზროვნე მოქალაქეთ თანამშრომლობისათვის. კენიგსბერგის ობერ-პრეზიდენტმა ზირმა წარმოსთქვა სიტყვა აღმოსავლეთ ევროპის საკითხზე, რომელშიც მოითხოვდა, რათა არ იქნეს დაშვებული აღმოსავლეთ პრუსიის და რუსეთის იზოლაცია. სახელდობრ ამიტომ, განაცხადა ზირმა, აღმოსავლეთ პრუსიაში აღფრთოვანებით ხვდებიან რაპალის ხელშეკრულებას.

პეტროგრადის ცხოვრება

(კერძო წერილიდან).

ჩვენი გაზეთის თანამშრომლისაგან მოგვივიდა წერილი პეტროგრადიდან, იმ სტუდენტისაგან, რომელიც პოლიტექნიკის რიცხვში გაიგზავნა განათლების კომისარიატისაგან სწავლის დასამთავრებლად. მოგვყავს ამ წერილიდან დამახასიათებელი ადგილები.

მე, როგორც გაგებდი მინაწერ წერილიდან პეტროგრადში ვიმყოფები მარტოდ მარტო.

თავს ჯერ-ჯერობით კარგად ვგრძნობ და საკმაოდ კარგად მოვეწყვე. შეუდგები კიდევაც მეცადინეობას.

აქ უკვე სიცივეები დაიწყო, შეშა ძვირს. საჟენი 300 მილიონი ღირს. ამასთან ფასი კიდევ უფრო აიწევს. რომ ჩამოველ არ იყო შესამჩნევი სიძვირე, მაგრამ ჩემი ჩამოსვლა უწყინათ თუ რა მოუხდათ, ფასები ყოველ დღე იმატებს, განსაკუთრებით პურზე და შაქარზე.

პური თეთრი-გირვანქა ცხრაასი ათასამდე ადის, შაქარი ფხვნილი 1,800,000, მხოლოდ ნატეხი,—3,5 მილიონამდი. ოთახები ძლიერ იაფია 1—5 მილიონამდის, ხუთ მილიონად შეგიძლიან მთელი „კვარტირა" დაიქირაო. მიზეზი ამისა და საერთოდ მოსკოვთან შედარებით სიაფისა მცხოვრებთა სიცოტავეა; დღეს მცხოვრებლები მხოლოდ რვაასი ათასი და დარჩენილა, წინად კი სამ მილიონამდის იყო.

დიდი მზადებაა ოქტომბრის დღესასწაულებისათვის: ამშვენებენ სახლებს, წინანდელებს და ასუფთავებენ ქუჩებს საერთოდ ნობამდის სულ განცხადებებით, აფიშებით და სხვებით იყო მორთული, რემონტს უკეთებენ ქვაფენილებს, ალამაზებენ მოედნებს, ასუფთავებენ დანგრეულ სახლები კედლებს, გზებს და სხვ. ერთი სიტყვით ცდილობენ კარგად მოაწყონ და მორთან პეტროგრადი ამ დღესასწაულებისათვის.

საერთოდ პეტროგრადში ფიცრულ და ქვის სახლებს ვცდით ნახვა-ყველა დანგრევით და გაუთავებელ ორღობეებზე, როგორც თავისუფალ მოედნებზე დათესილია სხვა და სხვა მოსავალი: კომბოსტო, კარტოფილი, ფხალი, ჭარხალი და სხვ. ასე რომ თითოეულ ქუჩაზე ხედავ ბოსტანს. მთელი „მაისის მინდორი" ეგეთ ბოსტნად გადაუქცევიათ. ვაჭრობა კარგია, მხოლოდ სავაჭროები ერთი ოთხად შემცირებულა, აუარებელი მაღაზიები და დუქნებია დაკეტილი, ვიტრინის ხალისი დაჰკარგვია—ხალხის სიცოტავით.

გამრავლებულია პატარა—თეატრები-მინიატურები, სადაც მოგების გულისათვის ვინ იცის რას არ აწყობიან ხალხს, მაგრამ ამ მოკლე ხანში მიიღებენ ზომებს მათ სათანადო დონეზე დასაყენებლად ან და სრულიად მიხურავენ. სახელმწიფო თეატრი ოთხია: ყოფილი ეკატერინის, მარიის, ალექსანდრეს და სახალხო სახლი, რეპერტუარს უქებენ.

ელიან იტალიელ მომღერლებს, ბატის, ტინის და სხვ.

გამოშვებულია აუარებელი ახალი წიგნები. როდესაც საერთოდ მიათვალიერებ მოთვალიერებ იგრძნობ, რომ ძლიერ ჩამორჩენილი ხარ საერთო მიმდინარეობას. ამ ოთხ წელიწადში იმდენი საკითხები დამუშავებულა, იმდენი აღმოჩენანი მომხდარა, რომ საკვირველებას საზღვარი არ აქვს. რომ ყველა ის წიგნები (რაც რასაკვირველია საინტერესოა) გადაიკითხო, მგონი შემდეგი ოთხი წელიწადი არ ეყოფა. ვიდრე ნახავ რომანებს (მეცნიერულის და პოლიტიკური ხასიათისა) სულ ყველგან პოლიტიკური და სამეცნიერო წიგნებია. წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში გამყიდველებსაც ასეთი წიგნები აქვთ გამოფენილი და მართლაც ხალხი მას ეტანება. უბრალო მუშაც კი პოლიტიკურ, სამეცნიერო და სამოსწავლო წიგნებს ეძებს.

„ამნაირია გაჭირვებანი ცხოვრებისა პეტროგრადისა".

წერილები პეტროგრადიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ნიკოლოზ მეორის უკანასკნელი დღეები,

ამ დღეებში ურალის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი—„მეფური რეჟიმი ურალზე", რომელშიაც მოყვანილია ცნობები ნიკოლოზ მეორის და მისი ოჯახობის დახვრეტის შესახებ. დღემდის ფართო საზოგადოებამ არ იცოდა თუ როგორ პირობებში, ან ვისი განკარგულებით იქნა დახვრეტილი უკანასკნელი მეფე რუსეთისა და სრულიად ამ გამოსვლის სრულიად აგვიხსნა ზემოხსენებულ წიგნში მოყვანილი ცნობები.

ჯერ კიდევ კერენსკის მმართველობის დროს ნიკოლოზ მეორე ოჯახობით გადაყვანილ იქნა მეფის სოფლიდან ქ. ტობოლსკში. ურალის საბჭომ აღძრა ერთხელ შუამდგომლობა რომანოვების ქ. ტობოლსკიდან სხვა საიმედო ადგილში გადაყვანის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასკომის წინაშე. უკანასკნელმა მიიღო რა მხედველობაში ურალის საბჭოს მიერ მოყვანილი დებულებანი ნება დართო გადაეყვანა ყოფილი მეფე მეუღლით და შვილებით ქ. ეკატერინებურგში, რისთვისაც გადაყვანის წესიერ გზით ჩასატარებლად, გამოგზავნა თავისი რწმუნებული განსაკუთრებული მანდატით. სახელდობრ იაკოვლევი.

მალე უნდა დაწყებულიყო გაზაფხულის უამინდობა და შესაძლებელი იყო გზების წახდენა, რაც ხელს შეუშლიდა რომანოვების ტობოლსკიდან გადაყვანას, ამის გამო მოხდენილი იყო განკარგულება დაუყოვნებლივ ქ. ტობოლსკიდან გამგზავრებისა. შეუძლებელი შექმნა ყველა ტყვეების ერთად გადაყვანა, ამისათვის გადაწყდა პირველად გადაეყვანათ ნიკოლოზ რომანოვი, მეუღლე მისი ალექსანდრა, ქალიშვილი მარია და ექიმი ბოტკინი; ამათ წამოჰყვნენ თავის ნებით ყოფილი კნიაზი დოლგორუკოვი. ოჯახის დანარჩენი წევრები, შტატი ფრეილინებისა და მოსამსახურეთა უნდა დარჩენილიყვნენ შემდეგ გამგზავრებამდის.

ტობოლის საბჭო შეუდგა სამზადისს. ჩამოვიდა იაკოვლევიც თავის რაზმით. აღსანიშნავია, რომ სტატიის ავტორი ეჭვის თვალით უცქეროდა იაკოვლევის მოქმედებას ტობოლსკში და გზაზე. იაკოვლევს მიუნდობიათ რომანოვების ციმბირში გადაყვანა და კიდევაც განუცხადებია ამ თავის სურვილის შესახებ საბჭოებისათვის, მაგრამ ამ სურვილს წინ აღუდგომია რ. კ. პარტიის საოლქო კონფერენცია, რომელსაც ამ დღეებში სხდომა ჰქონია ქ. ეკატერინებურგში. მან გამოუტანა გადამჭრელი დადგენილება რომანოვების აუცილებლად ეკატერინებურგში გადაყვანის შესახებ და ეს გადაწყვეტილება უცნობებია როგორც ს. რ. ც. აღმასკომისათვის, ისე რ. კ. პ. ცეკასათვის. იაკოვლევს მეტი აღარა დარჩენოდა—რა, გარდა იმისა, რომ დაჰმორჩილებოდა დადგენილებას."

რომანოვებმა გაიგეს, რომ ისინი გადაყავთ ტობოლსკიდან—რა უსიამოვნებათ, მიხვდნენ, რომ მდგომარეობა მათი იცვლებოდა.

ტობოლსკიდან ტიუმენამდის მგზავრობამ მშვიდობიანათ ჩაიარა. ტიუმენიდან რომანოვები გადასხეს სპეციალურ მატარებელში და გაემართნენ ეკატერინობურგისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც გადაყვანა, ისე დღე რომანოვების ეკატერინობურგში ჩაყვანისა საიდუმლოებას წარმოადგენდა, ზოგიერთ მცხოვრებს საიდუმლოებაც გაეგოთ და შეკრებილიყვნენ როგორც სადგურთან ისე, რომანოვებისათვის ბინათ დანიშნულ სახლის წინ.

ამის გამო საჭირო შეიქნა მატარებლის უკან გამობრუნება სად. ეკატერინობურგ 1-დან, სად. ეკატერინობურგ მეორეზე, სადაც ელოდნენ თავი გამზადებული ავტომობილი.

სადგურზე ტყვეების მისაღებათ მოვიდნენ ურალის საბჭოს რწმუნებულები: ბელობოროდოვი, დიდკოვსკი და ავდეევი, რომლებმაც მოითხოვეს იაკოვლევიდან ტყვეების გადაცემა და ნახვა. როგორც პირველზე, ისე მეორეზე იაკოვლევმა უარი განუცხადა წარმომადგენლებს იმ მოსაზრებით, რომ ქალაქში გაარების ტყვეებისა უდარაჯებოთ შეუძლებელია, მხოლოდ ნახვის სურვილის შესახებ განუცხადა რომ „ეხლა ისინი გამოსასვლელად ემზადებიან და შეწუხება მათი არ ღირს". ამნაირმა მოქცევამ წარმომადგენლებში იჭვი დაბადა იაკოვლევისადმი, რომელსაც ერთი წუთით აღარ მოსცილდნენ. გადაწყდა დაუყოვნებლივ გადაეყვანათ მატარებლიდან ბინაზე ნიკოლოზი მეუღლით, მხოლოდ დანარჩენი პირები და ბარგი დროებით დატოვებინათ მატარებელში. რომანოვები მოათავსეს პირველ ავტომობილში; შოფერთან ადგილი დაიკავა დიდკოვსკიმ, მხოლოდ მეორე ავტომობილში მოთავსდნენ ავდეევი და ბელობოროდოვი. მცველები არ გაუყოლებიათ.

რომანოვები მოათავსეს იპატიევის სახლში, რომელიც წინასწარ განთავისუფლებული იყო და მოწყობილი შეპყრობილებთათვის.

რწმუნებულმა იაკოვლევს განუცხადეს, რომ მისია მისი დამთავრებულია და შეუძლიან გაბრუნდეს მოსკოვში; მისცეს მას ხელწერილი საოლქო საბჭოს სახელით რომანოვების ჩაბარებაზე, რის შემდეგ იაკოვლევი თავის რაზმით გაბრუნდა უკანვე.

დანარჩენი წევრებიც დაუყოვნებლივ გადმოიყვანეს და ყველანი ჩააბარეს საბჭოს რწმუნებულს ავდეევს, რომელიც დანიშნულ იქნა სახლის კომენდანტად. რომანოვებთან ერთად ჩამოსულმა დოლგორუკოვმა მიიპყრო საბჭოს ყურადღება თავის საეჭვო ყოფა-ქცევით, რის გამო ის დაპატიმრებულ და მოთავსებულ იქნა ციხეში, მხოლოდ მისი ბარგი გაჩხრეკილი. სხვათა შორის მას აღმოუჩნდა დიდძალი ხურდა ფული, რუკა ციმბირის წყლით სავალ გზების აღნიშვნით და საიდუმლო ნიშნებით.

გამოკითხვამ გამოარკვია, რომ რომანოვების ბარგი ჯერ არც ერთხელ არ გაუჩხრეკიათ დღიდან მათი დატყვევებისა. კომენდანტმა წინადადება მისცა რომანოვებს ბარგის გაჩხრეკის. ნიკოლოზ მეორემ უსიტყვოდ შეასრულა წინადადება, ხოლო ალექსანდრა უარზე დადგა და ხმას არ აძლევდა კომენდანტს გაეჩხრიკა მისი ბარგი. შეიქმნა კომენდანტსა და ალექსანდრას შორის სიტყვიერი შეტაკება. ამ შეტაკებამ ძლიერ აღელვა ნიკოლოზი, დაიწყო ოთახში სიარული და ხმა მაღლა განაცხადა: „Чорт знает, что такое. До сих пор было всюду вежливое обращение и порядочные люди, а теперь..."

კომენდანტმა რომანოვებს განუცხადა, რომ დღეიდან ისინი ეკატერინებურგში არიან და არა მეფის სოფელში და თუ ისინი წესიერად არ მოიქცევიან—ერთიერთმანეთს დააცილებენ, მხოლოდ თუ განმეორებით ჩაიდინეს რამე უწესოება სავალდებულო სამუშაოზე გაიყვანენ.

იპატიევის სახლი ორ-სართულიანია; ქვედა სართულში მოთავსებული იყო კანცელარია, საწყობი და საკუჭნაოები, ხოლო ზედა სართული, რომელიც [illegible] ოთახისაგან შედგებოდა, ერგო ტყვეებს. [illegible] შემოსვლელ ფოიერი, რომ გამყოფ-გამოსაყოფი არ დატყვევებულ ტყვეებისათვის სერიოზული დროს.

მაისში ტობოლსკიდან ჩამოიყვანეს ნიკოლოზის ვაჟი და დანარჩენი ქალიშვილები, რომლებიც მოთავსებულ იქნენ იმავე იპატიევის სახლში.

თუმცა ტყვეები არ ყოფილან სასტიკ რეჟიმის ქვეშ, მაგრამ სადარაჯო რაზმი გაძლიერებული იყო და უფრო თვალყურის დევნებაში.

ყოფილი მეფე, რომელიც საერთოდ იდიოტურ ინდიფერენტიზმით ხვდებოდა ყოველ შემთხვევას და მოვლენას, საკმაო სიმშვიდით ეგებოდა ამ რეჟიმს. თავდაპირველად ეცადა ელაპარაკებოდა დარაჯებს, მაგრამ როდესაც მას განუცხადეს, რომ მათთან საუბარი და ლაპარაკი არ შეიძლება, თავი მიანება. ალექსანდრა კი მოუსვენარი იყო: ეჩხუბებოდა თუ არა დროის მოყვანილ დარაჯებს, საოლქო საბჭოს ლანძღვა-გინებას, უკმაყოფილებას აცხადებდა რეჟიმზე და სხვ.

მთელი ოჯახი სადილს იღებდა საბჭოთა სასადილოდან, რომელიც მთელს ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო სასადილოთ ითვლებოდა: თითოეულ ტყვეს ეძლეოდა თითო სადილი დღიურად, გარდა ამისა მათ განკარგულებაში იყო „პრიმუსი", რომლითაც შეეძლოთ გაეცხელებინათ მიტანილი სადილი. ყოველ დღე ნასადილევს ისინი გამოჰყავდათ სასეირნოთ ბაღში, სადაც მათ განკარგულებაში სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები იყო ფიზიკურ მუშაობისათვის.

აღდგომას რომანოვებმა განაცხადეს სურვილი წირვის მოსმენისა. შეუძლებელი იყო ეკლესიაში წაყვანა, ამისათვის მათთვის მოიწვიეს მღვდელი, რომელმაც წირვა გადაუხადა ოთახში. აგრეთვე აღდგომისათვის რომანოვებმა შეუკვეთეს: პასქა, კვერცხები, კულიჩები და სხვა სურვილი შესრულებულ იქნა.

ყოველივე „გადაცემანი" სხვა და სხვა ნივთების და სურსათ-სანოვაგის აკრძალული იყო. ნახვა ოჯახისა შეეძლოთ მხოლოდ განსაზღვრულ პირებს და წევრებს საოლქო საბჭოსას.

მაისში რომანოვების ოჯახს კიდევ უნდა დამატებოდა ახალი წევრები. ვინაიდან საგუბერნიო საბჭოთა კრებამ გამოიტანა დადგენილება ყოფილი მთავარი კნიაზების: სერგეი მიხეილის ძე, იგორ და ივან კონსტანტინეს ძეების და აგრეთვე ყოფილი კნიაზ პალეის ეკატერინებურგში გადმოყვანის შესახებ. ვინაიდან აქედგან „მაღალ სტუმრების" ერთად შეკრება სასურველი არ იყო მით უმეტეს იმ დროს, როდესაც გარეშემო საშინელი ბრძოლა სწარმოებდა კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ, ამისათვის ზემოხსენებული პირები საოლქო საბჭომ გადაგზავნა ალაპაევსკში, ადგილობრივ აღმასკომის ზედამხედველობის და განკარგულების ქვეშ.

საოლქო საბჭოს არა ერთხელ ჰქონდა ბჭობა რომანოვების დასჯის შესახებ ივნისის განმავლობაში, მაგრამ ეს საკითხი დადებითად და საბოლოოთ გადაწყდა მხოლოდ ივლისის 1 რიცხვებში.

დახვრეტის მოწყობა და დღის დანიშვნა მიენდო საბჭოს მიერ საბჭოს პრეზიდიუმს.

იმ დროს, როდესაც საბჭოს პრეზიდიუმმა ხელი მოაწერა ნიკოლოზ რომანოვის და მისი ოჯახის წევრების სიკვდილით დასჯაზე, ჩეხო-სლოვაკების ფრონტი უკვე ახლოს მდებარეობდა ეკატერინებურგიდან, ამიტომ დადგენილების სისრულეში მოყვანა უნდა დაჩქარებულიყო.

დახვრეტის ორგანიზაცია და ცხედართა მოსპობა მიენდო ერთ კეთილსინდისიერ რევოლუციონერს—ქარხნის მუშას—პეტრე ზახარიას ძე ერმაკოვს.

რომანოვების დახვრეტა ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ თავის არ გაეგო და არც თავის ხელი შეეშალა; ღამით 16 და 17 ივლისს რომანოვებს განუცხადეს რომ ისინი ზედა სართულიდან ჩამოსულიყვნენ ქვედა სართულში. ჯერ კიდევ ათი საათი არ იყო რომ ყველანი: ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე, მეუღლე მისი ალექსანდრა, შვილი ალექსი, ქალიშვილები, ოჯახის ექიმი ბოტკინი, „ძია" მეძავადობისა და ყოფილი პრინცესა-ფრეილინა, რომელიც თავის სურვილით დარჩა რომანოვებთან. ჩამოვიდნენ ქვედა სართულში. ყველანი ჩვეულებრივ სადღეღამისო ტანსაცმელში იყვნენ, ვინაიდგან ძილის დრო ჯერ კიდევ არ იყო,

შეიყვანეს სართულის ერთ-ერთ ოთახში და წინადადება მისცეს ჩამწკრივებულიყვნენ თავისი კედლისთან. სახლის კომენდანტმა, რომელიც ამავე დროს ურალის საბჭოს რწმუნებულიც იყო, წაუკითხა მათ საბჭოს განაჩენი—სიკვდილით დასჯა, და [illegible] რომ—ის იმედი რომ თითქოს მათ ვინმე უშველიდა და განთავისუფლებდა. ტყუილი ოცნება, ისინი დაუყოვნებლივ დახვრეტილი უნდა იქნენ.

მოულოდნელმა [illegible] მოქმედება იქონია სასჯელის განაჩენზე, ისინი [illegible] ყოფილმა მეფემ ეს და მოასწრო ეთქვა შეკითხვის კილოთი: „так нас никуда не поведут?"

სასჯელის სისრულეში მოყვანას დაესწრო მხოლოდ ოთხი კაცი, რომლებმაც რევოლვერებიდან სროლით ბოლო მოუღეს სასჯელ-დადებულებს.

ღამის 1 საათზე დასჯილთა ცხედარი წაიღეს ზედაისეთის და სოფ. პელკინის რაიონში, სადაც მეორე დღეს დასწვეს.

თუმცა დახვრეტა მოხდა შუა ქალაქში, გარეშე პირებს არა გაუგიათ—რა. რევოლვერების ხმის დასაფარავად წინასწარ იმ ოთახის ფანჯარასთან სადაც დახვრეტა უნდა მომხდარიყო, ამუშავებულ იქმნა ავტომობილი, რომლის ხმაურობამ სრულიად დაფარა ხმა რევოლვერებისა.

ზაფხულზე 1918 წელს ეკატერინბურგში შემოსულმა თეთრ-გვარდიელების გენერლები შეუდგნენ ცხედრების ძებნას, მაგრამ ვერა იპოვეს-რა გარდა რამოდენიმე ძვირფას ქვისა და ოქროულობისა იმ ადგილას, სადაც მოხდენილ იქმნა ცხედრების დაწვა. ამ ძვირფასეულობის ნახვა აცხადებდა მათ რომ, ცხედრების დაწვამდის გაუჩხრეკელ ტანსაცმელში აღმოჩნდა ჩაკერილი ძვირფასეულობა და ოქროულობა. ალბად ყველა ადგილები არ ყოფილა გაჩხრეკილი და შეუგნია ცეცხლში, სწორედ ეს დარჩენილი ძვირფასეულობა იპოვეს თეთრ-გვარდიელებმა.

ივლისის შუა რიცხვებში ქ. პერმში დახვრეტილ იქმნენ ძმა ნიკოლოზისა—მიხეილ ალექსანდრეს ძე; ამავე რიცხვებში ალაპაევსკში დახვრიტეს ყოფილი მთავარი კნიაზები: სერგეი მიხეილის ძე, იგორი, კონსტანტინე და ივანე კონსტანტინეს ძეები.

უკანასკნელის ცხედრები მონახეს თეთრ-გვარდიელებმა და დიდის ზეიმით დაასაფლავეს ალაპაევსკ ტაძრის ეკლესიაში.

ტ. ჩუბინიძე.

ქ. პეტერბურგი.
5 ოქტ. 1922 წ.

ახლო აღმოსავლეთი

რუსეთის ნოტა.

ნაუენი. 22 ოქტ. საბჭოთა მთავრობამ აცნობა ლონდონს და რომს ის გარემოება, რომ ინგლისს და იტალიას ჯერ არ გაუცია პასუხი საბჭოთა რესპუბლიკების ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე დაშვების შესახებ რუსეთის ნოტაზე. ამ ნოტაში საბჭოთა რუსეთი დაჟინებით მოითხოვს მის დაშვებას კონფერენციაზე და აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების გარეშე შეუძლებელია მშვიდობის ჩამოგდება. ნოტა აღნიშნავს აგრეთვე, რომ საბჭოთა რესპუბლიკების საზღვაო მოთხოვნილებების სისტემატიური უარყოფა—შეუძლია მდგომარეობის სერიოზული გართულება.

დახმარება განთავისუფლებულ ოლქებს.

ბორდო. 22 ოქტ. ანგორის სახელმწიფო ქონების კომისარიატმა განთავისუფლებულ ოლქების მცხოვრებთა დასახმარებლად გაგზავნა 200.000 ოსმ. ქაღ. ლირა სმირნაში, 5000 ლირა აფიონ-ქარაჰისარში და 5000 ლირა ქუტაჰიაში, მიღებულია ყოველგვარი ზომები განთავისუფლებულ რაიონების მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ფრაკიაში.

ბორდო. 21 ოქტ. მოკავშირეებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ უმნიშვნელო ინციდენტების გარდა აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ათენი. 22 ოქტ. აღმოსავლეთ ფრაკიაში აღდგენილია რკინის გზით მიმოსვლა.

ბორდო. 22 ოქტ. მოკავშირეთა გენერლებმა და ანგორის წარმომადგენლებმა რეფეთ-ფაშამ შეიმუშავეს ფრაკიაში ოსმალეთის ადმინისტრაციის და ჟანდარმერიის აღდგენის წესრიგი.

კონფერენციის გადადება.

მანჩესტერი. 22 ოქტ. გაზ. „ტაიმსი" იტყობინება, რომ წინასწარი კონფერენცია ახ.-აღმ. კონფერენციის საკითხის შესახებ, გადადებულია განუსაზღვრელ ვადამდე.

13 ნოემბერს ლოზანაში.

მანჩესტერი. 22 ოქტ. გაზ. „პტი პარიზიენ" ამტკიცებს, რომ პუანკარემ განაცხადა თანხმობა კერზონის წინადადებაზე ახლო-აღმოსავლეთის ლოზანაში 13 ნოემბერს მოწვევის შესახებ.

სრუტეების შესახებ.

მოსკოვი. 22 ოქტ. „იზვესტია" მოწინავე წერილში სწერს: „როგორი რეჟიმიც არ უნდა დაწესდეს სრუტეებში ის დამოკიდებული იქნება იმისაგან ჰყავს თუ არა ოსმალეთს ჯარი, აქვს თუ არა მას უფლება იყოლიოს საჰაერო ფლოტი და წყალქვეშა ნავები. ამისათვის თავისთავად ცხადია, რომ რუსეთმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საკითხის გადაჭრაში, სხვა გვარად ლაპარაკი მიღებულ გადაწყვეტილებებში მის მონაწილეობაზე წარმოადგენს უბრალო ფრაზას. რუსეთი არ მიისწრაფვის იმისაკენ, რომ მოიპოვოს უფლება ლორდ კერზონთან ერთად მაგიდის გარშემო დაჯდომისა. მას სურს, რომ მის ინტერესებს მიიღონ მხედველობაში.

ფრაკიაში.

მოსკოვი. 22 ოქტ. მოკავშირეების მისიამ ერთხმად დაადგინა აკრძალოს ქემალისტების ჟანდარმერიის, რომელიც დანიშნულია ფრაკიაში სტამბოლიდან გადასვლა.

გერმანია და ანტანტა

ბართუს კანონ-პროექტი.

ჰანოვერი 22 ოქტ. ბართუმ გამოაქვეყნა თავისი კონტრპროექტი საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, ბრადბიურის პროექტის გამო. ამ კანონპროექტის თანახმად, გერმანია ჰკარგავს სუვერენიტეტს თავის ფინანსების მმართველ-გამგეობაში. საფრანგეთი აგრეთვე მოითხოვს სახელმწიფო ბანკის საფრანგეთის საფინანსო კონტროლისათვის დაქვემდებარებას.

გერმანიის ფინანსები.

ბერლინ 22 ოქტ. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა შეიტანა რეიხსტაგში კანონპროექტი 120 მილი-

არდი მარკა სახაზინო ბონების გამოშვების შესახებ და კანონპროექტი 120 მილიარდი მარკის სესხის ადების შესახებ, ბიუჯეტის წონასწორობის დასამყარებლად.

მორატორიუმის საკითხი.

ბორდო 22 ოქტ. საკონტრიბუციო კომისია შეუდგა საფრანგეთის პროექტის განხილვას. წინასწარი მოსაზრებანი ნათელს ხდის, რომ უნაყოფოა მორატორიუმის საკითხის წამოყენება, ვინაიდან გარანტიების გარეშე ეს მორატორიუმი გერმანიას არ მიეცემა.

უცხოეთი

ლოიდ ჯორჯის გადადგომა.

პუანკარეს პოლიტიკის გამარჯვება.

მოსკოვი. 22 ოქტ. პარიზში ლოიდ-ჯორჯის მდგომარეობას უყურებენ როგორც პუანკარეს პოლიტიკის გამარჯვებას, ბონარ-ლოუ საფრანგეთის წრეებში სარგებლობს საფრანგეთის პრემიერის მეგობრის რეპუტაციით.

ბრძოლა პოლონეთის რევოლუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 22 ოქტ. მთელს პოლონეთში სწარმოებს „ქალაქის და სოფლის პროლეტარების კავშირის“ სისტემატიური დევნა. ლოძროვის ოკრუგში პოლიციამ დაკეტა კავშირის ყველა საარჩევნო შენობები. ჩენსტოხოვში დაპატიმრებულია კავშირის საარჩევნო კომიტეტი. ასეთივე ამბები ხდება პოლონეთის ბევრ სხვა ქალაქებშიაც.

მოლაპარაკება ვლადივოსტოკის ჩაბარების შესახებ.

მოსკოვი. 22 ოქტ. ოკეანსკაიას სადგურზე სახალხო რევოლუციონური არმიის ჯარები შეხვდნენ იაპონიის რაზმებს, რომლებიც იცავდნენ ვლადივოსტოკს და იქ მყოფ თეთრგვარდიელთა მთავრობას და აგრეთვე გენერალ დიტერიხის ჯარებს. სახალხო რევოლუციონური არმიის მთავარ-სარდლობამ დაიწყო მოლაპარაკება იაპონიის სარდლობასთან და საელჩო კორპუსის წარმომადგენლებთან ვლადივოსტოკში ქალაქის ჩაბარების შესახებ. მოულოდნელად იაპონიის სარდლობის წარმომადგენელმა წინადადება მისცა შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარებს უკან დაიხიონ სადგურ ოკეანსკაიადან. იაპონელების უკან დახევის გამო ვლადივოსტოკში დაიწყო უწესოებანი. ციხეში მყოფ მუშა-კომუნისტებს და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის მომხრეებს მოელის საშიშროება. პასუხისმგებლობა ექსცესებისათვის ეკუთვნის იაპონიის სარდლობას, რომელიც ხელს უშლის რუსეთის ჯარების შესვლას ვლადივოსტოკში.

განხეთქილება კონსერვატიულ პარტიაში.

ნაუენი 22 ოქტ. თემთა პალატის 87 წევრმა დახმარება აღუთქვეს ჩემბერლენს, რათა მან იმოქმედოს მომავალ არჩევნების დროს პარტიისაგან დამოუკიდებლად. ამგვარად განხეთქილება კონსერვატიულ პარტიაში მომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ქვეყანა დაიქანცა კოალიციისაგან.

ბორდო 22 ოქტ. გაზ. „სანდეი ტაიმსი“ ამბობს, რომ ქვეყანა დაიქანცა კოალიციონური კაბინეტისაგან და ახალმა კაბინეტმა უნდა გამოიჩინოს მეტი სოლიდარობა და სიმტკიცე თავის მოქმედებაში.

კერზონის განზრახვა.

კროიდონი 22 ოქტ. ლაპარაკობს რა კერზონის შესახებ, გაზ. „მორნინგ პოსტი“ ფიქრობს, რომ ის მტკიცედ იცავს მოკავშირეებთან თანამშრომლობის პოლიტიკას, მაგრამ არ აქვს განზრახული შეიარაღებული ძალებით მიაღწიოს შეთანხმებაც ქემალ-ფაშასთან.

ერიოს წერილი.

მოსკოვი 21 ოქტ. გაზ. „პტი-პარიზიენი“ ბეჭდავს ერიოს წერილებს „რუსეთის შესახებ“, რომლებშიაც აღნიშნულია საფრანგეთის რუსეთთან დაახლოვების აუცილებლობა.

რაპალოს ხელშეკრულება.

მოსკოვი 21 თეოდორ ვოლფი გაზ. „ბერლინერ ტაგებლატში“ დაჟინებით მოითხოვს, რათა რაპალოს ხელშეკრულება გავრცელდეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე და მათ შორის საქართველოზედაც.

რუსეთი და საფრანგეთი.

მოსკოვი 21 ოქტ. მარსელის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე გამოსთქვამს რწმენას, რომ 21 ნოემბერს განზრახული საფრანგეთის სავაჭრო პალატათა თავმჯდომარეების კონფერენცია დადებითად გადასწყვეტს საკითხს რუსეთში საფრანგეთის საინფორმაციო ორგანოს დაარსების შესახებ. საფრანგეთმა უეჭველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ხელიდან არ გაუშვას რუსეთის ბაზარი.

პალესტინის კონსტიტუცია.

რომი. გაზ. „ილ-მონდოს“ ცნობით, პალესტინის ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებს 20 კაცისაგან შემდგარ საკანონმდებლო საბჭოს დაარსებას, საბჭოში შევლენ 10 ოფიციალური პირი და 10 მცხოვრებთა წარმომადგენელი. მმართველ გამგეობა იქნება აღმასრულებელი კომიტეტის (მთავრობის) ხელში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის მეთაურობით საკანონმდებლო საბჭოს ენიჭება უფლება იმ კანონების გამოცემისა, რომლებიც უზრუნველყოფს მშვიდობიანობას პალესტინის სხვა და სხვა თემებს შორის. მიღებულია ზომები სინდისის თავისუფლების და თანასწორობის დასაცავად სხვა და სხვა ერთა შორის.

ვლადივოსტოკიდან პოლონეთში.

ვარშავა გაზ. „რეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ იაპონიის წითელმა ჯვარმა ჩამოიყვანა ვლადივოსტოკიდან დანციგში 400 ობოლი ბავშვი, რომელთაც მოათავსებენ პოლონეთის ბავშვთა თავშესაფრებში.

მოუსვენარი კლემანსო.

პარიზი. კლემანსოს, რომელსაც შეუსრულდა 80 წელიწადი, განზრახული აქვს შეერთებულ შტატებში გამგზავრება, რათა გააცნოს ამერიკას თავისი თვალსაზრისი საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ. ამერიკის წრეებში კლემანსოს გამგზავრებას თანაგრძნობით უცქერიან. გაზეთები უწოდებენ მას ყველაზე უფრო გამოჩენილ მოღვაწეს, თანამედროვე მოღვაწეთა შორის.

ებერტის უფლებები

ნაუენი 22 ოქტ. რეიხსტაგმა დაადგინა გაგრძელდეს პრეზიდენტ ებერტის უფლებები 1925 წლის 30 ივნისამდე.

შეთქმულება კანცლერ ვირტის წინააღმდეგ.

ნაუენი 22 ოქტ. სახელმწიფო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ლეიპციგში და ბერლინის პოლიციამ მიიღეს ცნობები არსებულ შეთქმულების შესახებ რომლის მიზანი იყო გერმანიის მთავარ პოლიტიკურ ხელმძღვანელების მოკვლა, როგორც ამის შესახებ უკვე განაცხადა პარასკევს რეიხსტაგში კანცლერმა ვირტმა, თუმცა და ხელისუფლება ინახავს აბსოლუტურ საიდუმლოებას შეთქმულებათა დაწვრილებითი ცნობების შესახებ, მაგრამ მაინც გამოაშკარავდა, რომ ერთმა ახალგაზრდა კაცმა აცნობა რეინის რაიონის პოლიციას, რომ ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიებმა წინადადება მისცეს მას მიეღო მონაწილეობა კანცლერ ვირტის მკვლელობაში. ამ ჟამად ეს ახალგაზრდა კაცი დაპატიმრებულია და სწარმოებს გამოძიება. ამ უკანასკნელ დროს ვირტმა მიიღო მრავალი მუქარის წერილი.

პრესის გამოძახილი.

ნაუენი 22 ოქტ. გაზეთი „გერმანია“ კანცლერ ვირტის საწინააღმდეგო შეთქმულების გამო ამბობს შემდეგს: „სული რომლის ზეგავლენით მოხდა ერცბერგერის და რატენაუს მკვლელობანი კვლავ ცოცხალია.

— „ფორვერტსი“ ამბობს „ის აზრი რომ რატენაუს მოკვლა თითქოს სულიერად დაავადებულის მოქმედებიდან გამომდინარეობს, არ წარმოადგენს სიმართლეს, ვინაიდან პირობებიდან ჩანს, რომ საკითხი არა ცალკე პიროვნებების ხელშია, არამედ მთელი ორგანიზაციების.

გერმანიის მრეწველების ოცნებები

ნაუენი, 22 ოქტ. კომუნისტების გაზეთების ცნობებით, რეინის მსხვილი მრეწველი ტისენი კანცლერ ვირტისადმი წერილში მოითხოვს რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას და ხაზს უსვამს იმას, რომ გერმანიის ხალხის ხსნა მდგომარეობს მრეწველობის ინტენსიურ ნაყოფიერებაში.

უმუშევრობა ინგლისში

მოსკოვი, 22 ოქტ. რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა საერთო რიცხვი ინგლისში უდრის 1,300,000 კაცს.

სამასი პროცენტით

ბუდაპეშტი 22 ოქტ. უნგრეთში განზრახვა აქვთ სამგზავრო და სატვირთო ტარიფი გაადიდონ 300 პროცენტით.

კონფერენცია განიარაღების საკითხის შესახებ

ჰანოვერი 22 ოქტ. ვარშავის ცნობით, განიარაღების საკითხის შესახებ კონფერენცია გაიხსნება მოსკოვში სამ ნოემბერს.

უინციდენტოთ

ჰანოვერი 22 ოქტ. ნაციონალისტების და კომუნისტების შეტაკების შესახებ საკითხის განხილვამ პრუსიის ლანდტაგში უინციდენტოთ ჩაიარა.

გაფიცვა კრუპის ქარხნებში

ბორდო 22 ოქტ. გაფიცულთა რიცხვი კრუპის ქარხნებში ესსენში 42-იდან იწია 10,000 კაცამდე. ქალაქში გაიმართა გაფიცულთა მანიფესტაცია.

ამერიკა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა

ჰანოვერი 23 ოქტ. ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტის განკარგულებით, ვლადივოსტოკში გაიგზავნა ამერიკულ დესანტის ნაწილი. ქალაქიდან სახალხო-რევოლუციონური არმიის მოახლოვების გამო.

ახალი კაბინეტის შემადგენლობა.

კროიდონი. 23 ოქტ. ბონარ ლოუ ადგენს კაბინეტს კერზონის, დერბის და სოლბერის დახმარებით. ფიქრობენ, რომ კაბინეტის შემადგენლობა ასეთი იქნება: გარეშე საქმეთა მინისტრი კერზონი, ხაზინის კანცლერი სტენლი ბოლდუ და ინდოეთის საქმების მინისტრი — ერლ ბილი, სამხედრო მინისტრი დერბი, ლორდ კანცლერი—გენრი დიუკი ან ვიკონტ კევი ან და ფინლე, ლორდი პრეზიდენტი—მარკიზ სოლიბრი, შინაგან საქმეთა მინისტრი დუონსონ ხიკსი ან პოლკოვნიკი გრეტენი, კოლონიების მინისტრი—პოლკოვნიკი ლეზლოე უილსონი ან პოლკოვნიკი ემერი.

„ტაიმსი“ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

კროიდონი. 23 ოქტ. პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ „ტაიმსი“ ამბობს, რომ არ შეიძლება მოვიგონოთ ისეთი მომენტი, როდესაც მთავრობის გადადგომას გამოეწვიოს ისეთი ცოტა მღელვარება სახელმწიფოში, როგორც გამოიწვია ლოიდ ჯორჯის კაბინეტის გადადგომამ. საგარეო პოლიტიკის შესახებ „ტაიმსი“ ფიქრობს, რომ რახან კერზონი შეინარჩუნებს გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელს, არის გარანტიები, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხი სისწორით გადაწყდება. შემდეგ გაზეთი ლაპარაკობს ინგლისის და საფრანგეთის თანამშრომლობის აუცილებლობაზე და მიუთითებს, რომ ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, როგორც ბენეში და ვენიზელოსი ტყუილად არ ხედავენ ამ თანამშრომლობაში გასაღებს ევროპის ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად. ამასთან ერთად, გაზეთი სწერს, რომ ლოიდ ჯორჯი არ გადადგა მაშინ, როდესაც მან მიაღწია თავისი სიმაღლის მწვერვალს, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, გაზეთის აზრით, ლოიდ ჯორჯის სახელი მაინც დარჩება ერთ უბრწყინვალეს სახელად ინგლისის პრემიერებს შორის.

გაფიცვები პოლონეთში

მოსკოვი 22 ოქტომბერი. ვარშავაში გაიფიცნენ დურგლები და მეკუპრეები, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ქირის 50 პროცენტით მომატებას.

— ვარშავაში შესდგა ქალაქის მუშების მიტინგი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 5,000 კაცმა, დამსწრეებმა დაადგინეს მოითხოვონ სამუშაო ქირის გადიდება ყველა ქალაქის მუშა-მოსამსახურეთათვის 20 პროცენტით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოაცხადებენ გაფიცვას.

— ვარშავაში გაიფიცნენ ფეხსაცმელების სახელოსნოების მუშები, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ქირის 35 პროცენტით მომატებას. მუშაობის მიმწოდებლები თანახმა არიან გაადიდონ ჯამაგირი 18 პროცენტით.

ინგლისის მემაღაროებთა შორის

მოსკოვი 22 ოქტომბერი. სამხრეთ-უელსის ყველა მაღაროების მუშები იმუქრებიან გაფიცვით, თუ მათი მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული ორი კვირის განმავლობაში.

პარლამენტის არჩევნები ინგლისში

მოსკოვი 22 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში კვაისმა განაცხადა: „მუშათა პარტია მზად არის ბრძოლისათვის, ის მზად არის წამოაყენოს უკიდურეს შემთხვევაში 400 კანდიდატი მომავალ პარლამენტის არჩევნებზე.

რუსეთი

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

მოსკოვი 22 ოქტომბერი. ოქტომბრის დღესასწაულის წლისთავის დღეს ფეიქრების ცეკა ხსნის მთელ რიგ სანატორიებს მუშებისათვის.

— კავშირის ორგანოები გადასდებენ ოქტომბრის დღესასწაულისათვის სექტემბრის სამუშაო ხელფასის 30 პროცენტს.

ურალის მრეწველობა ვითარდება

მოსკოვი 22 ოქტომბერი. მთელს ურალის მრეწველობას ემჩნევა გამოცოცხლება. სტაროდემსკის და ვერხნე-უდინის ქარხნებში ამუშავებულია დუმელები სხვა ქარხნებში დადგმულია ახალი მანქანები და დაზგები.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 4-ე სესია

მოსკოვი 22 ოქტომბერი. სრ. რუსეთის ცაკის 4 სესიის პირველი სხდომა გაიმართება 23 ოქტომბერს. სესიის დღის წესრიგი: შრომის კანონების კოდექსი, სახლკო ეკონომიურ საბჭოების შესახებ, მიწის კანონების კოდექსი, სახელმწიფო მიწების და მიწათსარგებლობის შესახებ. სამოქალაქო კანონების კოდექსი, ფინანსთა სახ. კომისრის მოხსენება და სხვ.

კრემლის რესტავრაცია

მოსკოვი 22 ოქტომბერი. მოსკოვში დამთავრდა მუშაობა კრემლში ბეკლებიშევის კოშკის აღსადგენად დამთავრდა ნიკოლსკის კოშკის რემონტი. შეკეთებულია არსენლის და ცენ. აღმას. კომიტეტის შენობა, რომელიც აშენებულია გამოჩენილი ხუროთ მოძღვრის კაზაკოვის მიერ. მიმდინარე წელს კრემლს შეაკეთებენ შიგნიდან, ხოლო გაისად შეკეთებული იქნება კრემლის გარეთა ნაწილები.

დახმარება უმუშევრებს

მოსკოვი 22 ოქტომბერი. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარი შრომის [illegible] თავდაცვის საბჭოს წინაშე უმუშევართათვის მომავალ წლისათვის 50.000 ულუფის მიცემის შესახებ.

ლატვიის მისიის თანამშრომელთა საქმე

მოსკოვი 22 ოქტომბერი. უმაღლესი ტრიბუნალი შეუდგა ლატვიის მისიის ზოგიერთ თანამშრომლების და მათი აგენტების საქმის გარჩევას. რომელთაც ბრალი ედებათ ჯაშუშობაში ლატვიის სასარგებლოდ.

პროფესორ ლომონოსოვის განცხადება

მოსკოვი 22 ოქტომბერი. რუსეთის სარკინისგზო მისიის თავმჯდომარემ პროფ. ლომონოსოვმა აცნობა „როსტას“ თანამშრომელს შემდეგი. გერმანიაში დაკვეთილ ორთქლმავლებიდან 680 უკვე ჩამოვიდა რუსეთში. შვეციიდან ჩამოვიდა 180 ორთქლმავალი. აწი უცხოეთში ორთქლმავლებს არ დაუკვეთთ, რადგანაც ჩვენი ქარხნები უკვე საკმაოდ კარგად მუშაობენ. ჩამოვიდნენ გერმანიის, შვეციის და ჩეხოსლოვაკიის მსხვილი მრეწველობის წარმომადგენლები, რომელნიც დიდ ინტერესს იჩენენ რუსეთში დაწყებულ მუშაობისადმი. უცხოეთის ორთქლმავლები ჩვენს გზებზე ზედმიწევნით მუშაობენ. ჩამოსულ 800 ორთქლმავლიდან 500 უკვე მუშაობს.

სახალხო განათლება

მოსკოვი 21 ოქტომბერი. ვორონეჟის გუბერნიის ზადოვის მაზრაში შეკეთებულია სკოლების 75 პროცენტი.

მთელ ბელორუსიაში ეწყობა ქოხები-სამკითხველოები. მრავალ ადგილას გლეხები თვითონ კისრულობენ მათ შენახვას.

ახალი ამბები

მუშათა ფაკულტეტზე. მეცადინეობა მუშათა ფაკულტეტზე ნორმალურ პირობებში ჩადგა და ამ ჟამად ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს. მუშები ფაკულტეტს დიდი შრომითა და ყურადღებით ეპყრობიან. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე მსმენელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და უდრის მოსალოდნელ 250 კაცისა. ამ ჟამად მუშათა ფაკულტეტზე ირიცხება 340 კაცი, რის გამო მიღება მუშათა ფაკულტეტებზე ამ წელიწადში შეწყვეტილია.

— **დედათა და ყრმათა ჯანმრთელობის დაცვისათვის** სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განკარგულებაში 100 მილიონი მ., რომ მოაწყონ სარძევე, სამზარეულო და გახსნან ძუძუმწოვარ ყრმათათვის მეორე სახლი.

დედათა და ბავშთა დაცვის პირველი ამიერ-კავკასიის ყრილობა დაიხურა ოქტომბრის 22-ს. არჩეულია ბიურო ყრილობის ნამუშევარის დასამუშავებლად და გამოსაცემად. დანიშნულია აგრეთვე ბიურო მეორე ყრილობის მოსაწვევად ბაქოში ერთი წლის შემდეგ.

სამხატვრო ქრონიკა

— **გაზ. „ბახტრიონი“.** გამოვიდა გაზ. „ბახტრიონის“ მორიგი № (16), რომელშიაც მოთავსებულია წერილები ტ. ტაბიძის, ვ. გუნიას, თ. სახოკიასი, ზ. ქიქინაძის, ვ. გარრიკის, მ. მაჭავარიანის; ლექსები შ. აფხაიძისა და შ. კარმელის.

— **გაზ. „ლომისი“.** გაზ. „ლომისის“ მორიგ ნომერში (№ 8) მოთავსებულია კ. გამსახურდიას, ვ. გუნიას, ხომლელის, ძველი ნაცნობის, ი. აბაშიძის, ი. ტოკაძის, ი. ფერაძის, ს. გერსამიასი და ინგენხოს წერილები. არტურ ლეისტის ლექსი გერმანულად ნათარგმნი ი. ი. მაჩაბლის მიერ.

— **ქართული მუსიკა საზღვარგარედ.** საზღვარ-გარეთიდან მიღებულ ცნობით, მეცნიერ-მუსიკოსსა და ცნობილ პროფესორს ოსკარ ფლეიშერს თავისი წინასიტყვაობით გამოუცია ჩვენი კომპოზიტორის დ. არაყიშვილის მონოგრაფია ქართული ეროვნული სიმღერებისა და ქართული მუსიკის შესახებ.

— **სახალხო სახლში.** სახალხო სახლში სეზონი გაიხსნა კვირას, 22 ოქტომბერს ი. გედევანიშვილის „მსხვერპლით“. პიესა დასდგა რეჟისორმა შ. დადიანმა. სეზონში განზრახულია დადგმა: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „№ 21 ჯვრით“— ი. ეკალაძის, ნ. ნაკაშიძის ახალი პიესა, შ. დადიანის „მღვიმეში“ და სხვა.

შემოწირულება. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტმა ანნა ღვინიაშვილმა ქართულ დრამატიულ სტუდიას შესწირა ნახევარი მილიონი მანეთი.

— იბეჭდება და ამ თვის დამლევისათვის გამოვა სეით იაშვილის შევსებული და შესწორებული სახელმძღვანელო „ბუნებისმეტყველება“ I ნაწ. შრომის სკოლების პირველი კლასის კურსი, გამოცემა მეექვსე.

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს 24 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში დადგმულ იქნება შალვა დადიანის ახალი ორიგინალური პიესა „ვარამი“. პიესის სიუჟეტი აღებულია მე-12-ე საუკუნის ცხოვრებიდან. პიესაში გამოყვანილია თამარ მეფე და მთელი მისი კარი. პიესისათვის საგანგებო მუსიკა დაწერილია კ. ფოცხვერაშვილის მიერ. დასდგამს რეჟისორი კ. ანდრო-

ნიკაშვილი, რომელიც შარშანდელს აქეთ ამზადებს ამ პიესას.

— **სახელმწიფო ოპერაში.** კვირას, 22 ოქტომბერს ამ სეზონში მეორეთ დაიდგეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. აბესალომის პარტიას ასრულებდა—ვ. სარაჯიშვილი, ეთერისას—ბოკოვა, მურმანს—ი. ინაშვილი; ლოტბარობდა ვ. ფალიაშვილი. ოპერამ მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა; ხალხი ნაკლებად დაესწრო.

— **ლიტერატურულ ხუთშაბათების** საზეიმო გახსნა მოხდება ხუთშაბათს, ოქტომბრის 26, ხელოვანთა სასახლეში, (სერგიევის ქ. № 13) საღამოს 8 ს. სიტყვებს წარმოსთქვამენ: ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია. ითავმჯდომარეებს კ. მაყაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოში.

ქალაქ გორის აღდგენა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობის გამო, მიწის ძვრით დაზიანებულ ქალაქ გორის აღსადგენათ საჭირო ზომების მიღების შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა აღნიშნული შუამდგომლობა დაეგზავნოს ყველა უწყებებს თავიანთი დასკვნის წარმოსადგენათ ამ საკითხზე. ამ ჟამად სახალხო კომისარიატის საბჭოში შემოსულია ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნა, რომლითაც იგი აუცილებლად საჭიროდ სცნობს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქალაქ გორის აღდგენას, ხოლო წინასწარ კი საჭიროა—ფინანსთა სახალხო კომისარიატის აზრით—მოეწყოს საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სულ მოკლე ხნის განმავლობაში რა არის აუცილებელი ან და რას ეკუთვნის გორის აღსადგენათ ის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთაც დავალებული ქონდათ როგორც ყოფილ მთავრობის დროს, ისე საქართველოში საბჭოთა სისტემის დამყარებიდან, ქალაქ გორის აღდგენა, გარდა ამისა ფინანსთა სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ქალაქ გორის აღდგენის საქმეში საზოგადოებრივ ძალები.

დემუნიციპალიზაციის პროექტი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად. პროექტი—დადგენილებისა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საცხოვრო სახლებისა და [illegible] დემუნიციპალიზაციის შესახებ გარდა ტფილისისა და ბათომში.

პურის დამზადება.

იმის გამო, რომ სახურსათო გადასახადის აკრეფის დამთავრების შემდეგად აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები გამოცხადებული არიან გახსნილად, სურსათის სახალხო კომისარიატი შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე გასცეს მის განკარგულებაში სახსარი და აგრეთვე განსაზღვრული იქნეს წესი და საშუალება, რათა სასურსათო სახალხო კომისარიატს შეძლება ჰქონდეს დაამზადოს პურეული რესპუბლიკის ფარგლებში გარდა სასურსათო გადასახადის გზითა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შტატების გადიდება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ სახალხო კომისართა საბჭოში წარმოდგენილია მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა შტატები ზემო-სვანეთის მაზრისათვის, რომლითაც იუსტიციის სახალხო კომისარიატის მტკიცე შტატი უნდა გადიდებულ იქნეს ცხრა კაცით. გარდა ამისა იუსტიციის სახალხო კომისარიატი ზემო-სვანეთთან მთელი ზამთრის განმავლობაში მიმოსვლის შეწყვეტის გამო შუამდგომლობს ჩვეულებრივი ნორმის ზევით აღნიშნულ დაწესებულებათა შესანახად მიეცეს 1923 წლის იანვრის 1-დე ავანსი 254.760.000 მანეთის რაოდენობისა.

ოზურგეთის რკინის გზისათვის.

როსტოვში მივლინებაში წარგზავნილი ინჟინერი კაცაძე დეპეშით აცნობებს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომს, რომ ოზურგეთის რკინის გზისათვის კავკასიის მიმოსვლის ოლქის მიერ გაცემულია 4.000 ფუნტი ცემენტი, რომელიც გამოიგზავნება ნოვოროსიისკიდან.

შეშის ჩამოზიდვა.

როგორც სახალხო კომისართა საბჭოს აცნობებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სატყეო განყოფილება, ტფილისში ამ განყოფილების სახელზე [illegible] ოქტომბრის 16-დან ოქტომბრის 19-დე მოსულია 30 ვაგონი რბილი ხარისხის შეშა.

უძრავი ქონების მუნიციპალიზაცია.

სახალხო კომისართა საბჭოში შემოვიდა ქუთაისის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა ქუთაისში იმ უძრავ ქონების მუნიციპალიზაციის შესახებ, რომელიც ეკუთვნის საზღვარ გარეთ გაქცეულ მოქ. კემულარიას. სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა რა ეს საკითხი, დაადგინა გადაეცეს იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განსახილველად და დასაკმაყოფილებლად.

თანამდებობიდან განთავისუფლება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, განთავისუფლებულ არიან თავინთ თანამდებობიდან სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლე ნ. გოცირიძე და საზოგადოებრივი ბრალმდებელი გორის მაზრაში ა. დიდებულიძე.

განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა.

განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა ბორჯომიდან ტფილისში ტყის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამოსატანათ საჭირო თანხის გაცემის შესახებ, გადაეცა საუწყებათაშორისო საბიუჯეტო-სააღრიცხვო საბჭოს—დასკვნისათვის.

მოწერილი ამბები

დ. საჭამია-სერა (ოზურგ. მაზრა). ეს დაბა მდებარეობს გურიის აღმოსავლეთ ნაწილში. საერთოდ როგორც გურიის უდიდესი ნაწილი, ეს მხარე მთაგორიანია, მაგრამ გვარიანი მოსავალი მოყავთ მდ. ხევისწყალის ნაპირებზე. წრევანდელ წყალდიდობას ვერც ეს მხარე გადაურჩა და საუკეთესო მოსავლიანი ნაწილის უმეტესობა წყლით წაიღეკა. იყო შემთხვევა ოჯახის აყრისა; მაგრამ ეს რაიონი შედარებით ზოგიერთებზე მაინც ნაკლებადაა დაზარალებული. დაბას, რომელსაც რაიონის ცენტრ უჭირავს, კარგი ელფერი დაჰკრავს: არსებობს სამკითხველო, ფოსტის განყოფილება, საავადმყოფო, აფთიაქი, შრომის სკოლა, ყველაფერს ეტყობა, რომ ხალხის მზრუნველობა არ აკლია. ეს კი არის, რომ სამკითხველო ვერ არის რიგიანად: ჯერ ერთი მიყრუებულ ადგილს გადაიტანეს; ასე რომ დიდი შრომაა საჭირო, სანამ მოსძებნიდე და მეორეც ვერ იპოვნი ვერც ერთ ხეირიან წიგნს თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე მწერლის ნაწარმოებს, რომელიც ამ ნაკლის გამოსწორებად არ ჩაითვლება. იდგმება სისტემატიურად წარმოდგენები, რომელსაც ხალხი აურებელი ესწრება და თანაგრძნობა მასისა ამხნევებს სცენის-მოყვარეებს, რომელთა შორის ტ. რამიშვილის ასული და დ. დუდუჩავა არა თუ ამ პატარა სცენას,—სამაზრო თეატრსაც დაამშვენებდა. არ შემიძლია აქვე არ ავღნიშნო ის გაუგებრობა, რომელიც პირადად შემხვდა ამ რაიონში. ადგ. აღმ. თავმჯდომარეს ამხ. ზაქარეიშვილს ვთხოვე რეფერატის ნება პოეზიის გარშემო, მაგრამ მიმითითა ოზურგეთის განათლების განყოფილებაზე. მაგრამ როდესაც იმავე რეფერატის ნება ვსთხოვე ზემო-ხეთის თემის აღმ. თავმჯდომარეს, მას ოზურგეთზე კი არ მიუთითებია, მხოლოდ მიმიდ-მომიდვა: ხან სთქვა—თავმჯდომარე არ ვარო, ხან ჩემი საქმე არ არისო; მაგრამ ბოლოს, როდესაც არც ერთი არ გამოდგა მართალი, ნება დამრთო რეფერატისაც და გასამართლებისაც. რაშია საქმე? კანონი თუ ვრცელდება ერთზე, რატომ არ უნდა ვრცელდებოდეს მეორეზეც? ან და რად გაურბიან აღმასკომები ასეთ ლიტერატურულ გამოსვლებს, როდესაც ყოველი ადამიანის ვალია ამას დაეხმაროს, საერთოდ აქ ნაკლებად შეხვდებით რეფერატსა, ლექციებსა და გასამართლებებს; თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე გასამართლებას, რომელიც სცენის მოყვარეებს ეხებოდა როგორც არა დიდად საყურადღებო, მასის ყურადღებას არ იქცევდა. ენერგიული ადამიანია—რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე და ამასვე უნდა მივაწეროთ, რომ დაბას შენობები ემატება ხდება ძველთა შეკეთება და [illegible] მხოლოდ მაზრის ერთი ნაწილი.

ხუნგი.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

რიგოლეტო

გადამეტებულია ის აზრი, თითქოს ტფილისი მუსიკალური ქალაქია. ეს თუ ასეა, მაშინ სად იყო საზოგადოება ოქტომბრის 19? სამწუხარო იყო ნახევრად სავსე დარბაზის ცქერა ახალი ოპერის დადგმისა და ისიც ასეთი შესამჩნევი შემადგენლობით.

მთავარ როლში გამოდიოდა ახალი ბარიტონი მოქ. გორელოვი, მსახიობი, რომელმაც უცებ მოიპოვა საზოგადოების ყურადღება და აღფრთოვანება. ხმა—დრამატიული ბარიტონი, ფართო დიაპოზონის, სწორი, ნამდვილი იტალიანური bel canto თი, იშვიათი სრული დიქცია, ლამაზი ფრაზიროვკა, მუსიკალობა, კეთილშობილება—აი უეჭვო პლიუსი მოქ. გორელოვის ნიჭისა. მას ყველაფერი ზომიერი აქვს, იაფ ეფექტს არ მისდევს. ნაკლად შეიძლება მხოლოდ ჩაეთვალოს ტემპერამენტის ნაკლებობა მე-3 აქტში ჯილდას სცენაში, მაგრამ მთელი სცენა სასახლის დიდებულებთან სავსეა სიმართლითა და ღრმა განცდით. სცენიურ განსახიერების პლიუსად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მისი მიმიკა. მსახიობის გამარჯვება თანდათან იზრდებოდა.

ჯილდას ასრულებდა მოქ. პაპოვა. გუშინდელ რეცენზიაში მე უკვე ავღნიშნე მისი ვოკალური მხარის შესახებ. ამ ჟამად მხოლოდ დავუმატებ, რომ ლირიული ადგილებიც უხდება მას მოქ. გორელოვი და მოქ. პოპოვა ეს იშვიათი შეთანხმებაა დასრულებულ მსახიობებისა.

ჰერცოგს ასრულებდა მოქ. ლევიცკი—ჯერ-ჯერობით მომღერალი არც სცენიურ განსახიერებისა და არც ვოკალური მხრით საშუალოს არ გადასცილებია. ვნახოთ მისი შემდეგი დებიუტები. ხმა მკრთალი და გაუბედავი აქვს მაღალ რეგისტრებში. ჩემს თავს ნებას მივცემ ურჩიო მომღერალს სერიოზული ყურადღება მიაქციოს რითმს, სუნთქვას, ზევითა რეგისტრსა და გრიმს. როგორც ყოველთვის თავის დანიშნულების სიმაღლეზე იდგა მოქ. ისეცკი. მოქ. არონს კარგად მიყავს ორკესტრი. დადგმა მოფიქრებულია, არის მხატვრული ადგილებიც.

პ. ბებუთოვი.

საბურთალო

კლუბის გარშემო. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორი განუზომელი მნიშვნელობა ეძლევა ტფილისის განაპირა უბნის, საბურთალოსათვის ისეთ კულტურულ დაწესებულებას როგორიცაა კლუბი.

ეს უბანი გრძელი მანძილითაა დაცილებული ქალაქის აკადემიურ თეატრებს და ცხადია ამის გამო, ადგილობრივ მცხოვრებლებს ძალიან უძნელდებათ აკადემიურ თეატრალური ხელოვნების ხილვა და ესთეტიურ ემოციათა დაკმაყოფილება. და რომ შესაძლებელი შეიქმნეს აღნიშნული მიზნის ნაწილობრივი მიღწევა, საბურთალოს უბნის ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი ენერგიული ინიციატივით დღემდე ბელს უწყობს ადგილობრივად ერთი სახალხო სახლის არსებობას და დროგამოშვებით დრამატიული ხელოვნების მოყვარულ საზოგადოებას აწვდის სულიერ საზრდოს შესაძლებლობის ფარგლებში.

რომ ასეთი კულტურული მუშაობის გაგრძელება არ შეფერხდეს და ოდნავ ფეხ-ადგმულმა სათეატრო საქმემ უდროოდ არ დალიოს თავისი სული საჭიროა ადგილობრივ მკვიდრთა ფხიზელი თვალყური კლუბისადმი, და შეგნებული თანამშრომლობა ამ კულტურული დაწესებულებისა.

მაგრამ დღევანდელს სინამდვილეში ამის გვარი არაფერი ხდება. უკანასკნელ დღეებში კლუბის გარშემო ისეთ არა სასურველ გარემოებას აქვს ადგილი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მართლდება.

როგორც საბურთალოს კლუბის გამგეობის ზოგიერთი წევრებისაგან სარწმუნოდ გავიგეთ, ორი დღის წინეთ ადგილობრივი კლუბი ღამე გაუტეხიათ და სრულებით გაუქურდავს ვიღაც ბოროტ-ძალებს, რომლებსაც თურმე ანგარების სიყვარული კი არ ახელმძღვანელებს, არამედ აქვსთ სურვილი აშკარად ხელი შეუწყონ კლუბის მიზნების დაღუპვას და სურთ აშკარა ღალატი საზოგადო საქმის დაქვეითებისა.

იმ დროს, როცა აუცილებლად საჭიროა ერთსულოვანი შეთანხმებული მუშაობა, ჩვენ სრულებით საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. [illegible] შენობა [illegible] და [illegible] ინვენტარი. თუ დღემდე შესაძლებელი იყო იშვიათად მაინც გამართულიყო ამ კლუბში სხვა და სხვა სახის საღამოები, დღეს ეს შეუძლებელი ხდება, და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ ხელ-ახლა არ შეკეთდება კლუბის შენობა და გატაცებული ქონება არ დაუბრუნდება მას.

საჭიროა ფიცხელი გამოძიება დაინიშნოს კლუბის გამქურდველების დაუყოვნებლივ აღმოსაჩენად და წადებულ ინვენტარის დასაბრუნებლად.

კლუბის გამგეობას მართებს აამოძრავოს მთელი თავისი ენერგია კლუბის აღდგენის და თეატრალური საქმეების აღორძინებისათვის.

გ. თ—ლი.

შეკითხვა

შრომის სახალხო კომისარიატს.

განათლების მუშაკთა კავშირთან არსებულ შრომის ბირჟაში უკანასკნელის მდივანი არ ღებულობს ქართულ ენაზედ შევსებულ საანკეტო ფურცლებს. ჩემს შეკითხვაზედ, თუ რატომ არ ღებულობს სახელმწიფო ენაზედ დაწერილ ქაღალდს,—მან მიპასუხა: შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილების განკარგულებით არა მაქვს უფლება მივიღო ქართულად დაწერილი ანკეტიო.

გთხოვთ განმარტებას: დაბალი მოსამსახურის პროვოკაცია არის ეს, თუ მართლა არსებობს ასეთი განკარგულება და რა ზომებს ღებულობს კომისარიატი, რომ საბჭოთა საქართველოს ძირითადი კანონი ენის შესახებ არავინ დაარღვიოს.

გ. ოდიშარია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—[illegible] კომიტეტი

დავკარგე პირადობის მოწმობა № 317 მოცემული ქუთაისის რაიონის მილიციის უფროსისაგან გრიგოლ ყუფარაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქალ. ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო
აცხადებს,
რომ ოთხშაბათს, ოქტომბრის 25 ს დღით 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა:
იჯარით გასაცემად
1 ბაკზე მდებარე
პოდვალნი შესახვევი № 6 და
2. ვერის ბორანზე
პირობების გაგება შეიძლება 50 ოთახში საჯარო ვაჭრობის გამგე
მ. დარახველიძესთან.
2—1

ქალაქ ტფილისის ელექტრონის ტრამვაი
ამით აცხადებს საყოველთაოდ,
რომ ამ მიმდინარე წლის პირველ ნოემბერს დანიშნულია მის მიერ
საჯარო ვაჭრობა
ტრამვაის ვაგონებზე განცხადებების გაკვრის ნებართვაზე.
დაწვრილებით პირობების ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე მუშაობის დროს ტრამვაის კანტორაში.
ტ რ ა მ ვ ა ი.

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი“
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—$5^{1}/_{2}$ საათამდე.
10—3
ფასები დაკლებულია.

[illegible] პოლიგრ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა